ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №217

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მაი მობაილ +” წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბოკერიას სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი *(შესყიდვის ობიექტი)*: (საკუთარი სახსრებით) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (საქონლის დასახელება, cpv - კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9364,00 (ცხრაათას სამასსამოცდაოთხი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის **2019 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 ნოემბრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.6 იმ თემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს–მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინრება ასეთი გარემოებების და მათი გამომეწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთნ ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თნაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა , ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა.ა. 709097519
ორგანიზაციული კოდი 32030111
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს ,,მაი მობაილ +", მის: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №9
ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი" ა/ნ GE02PC0053600100019713
ს/კ 205294705

დირექტორი: ზურაბ ბოკერია

_____
(ხელმოწერა)

Zurab Bokeria

Digitally signed by Zurab Bokeria
Date: 2019.10.17 17:24:15 +04'00'

დანართი N1

№	CPV-კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	38437000	კაუჭიანი ტვირთები	ცალი	1	80.00	80.00
2	38437000	ჭოჭონაქების ნაკრები კაუჭებით	ცალი	1	21.00	21.00
3	38437000	ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით)	ცალი	1	15.00	15.00
4	38437000	გრძელი ზამბარა	ცალი	1	22.00	22.00
5	38437000	დანაყოფებიანი ღერო სადგამთან ერთად ძალის მომენტის და წონასწორობის შესასწავლად	ცალი	1	120.00	120.00
6	38437000	ჭოჭონაქი მაგიდაზე დასამაგრებელი	ცალი	1	200.00	200.00
7	38437000	მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით	ცალი	2	90.00	180.00
8	38437000	სხვადასხვა მასალისგან დამზადებული კუბები (5 განხვავებული მასალის)	ცალი	1	120.00	120.00
9	38437000	ლაბორატორიული ტრეკი (დახრილი სიბრტყე), თავისი 2 ცალი ურიკით	ცალი	1	250.00	250.00
10	38437000	სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად	ცალი	3	30.00	90.00
11	31219000	მუდმივი და ცვლადი დენის კვების ბლოკი	ცალი	1	420.00	420.00
12	38437000	წინაღობების ნაკრები (5 ცალი), მზრდადი წინაღობების მნიშვნელობებით, დამაგრებული სადგამზე, ჩამონათვალში არსებული კაბელებთან თავსებადი შესაერთებლებით	ცალი	1	100.00	100.00
13	38437000	კონდენსატორების ნაკრები (5 ცალი) მზრდადი ტევადობებით, დამაგრებული სადგამზე, ჩამონათვალში არსებული კაბელებთან თავსებადი	ცალი	1	110.00	110.00
14	31224400	სადენები შტეკერით	ცალი	15	10.00	150.00
15	31224400	სადენები კლიპსებიანი	ცალი	15	15.00	225.00
16	31224600	რეოსტატი	ცალი	1	80.00	80.00

17	31519100	ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით	ცალი	2	50.00	100.00
18	31212000	ელ. წრედის ჩამრთველი	ცალი	2	15.00	30.00
19	38437000	ებონიტის ღერო და შესაბამისი (კარგი დამმუხტველი უნარის მქონე) ქსოვილის ნაჭერი	ცალი	1	10.00	10.00
20	38437000	მინის ღერო და შესაბამისი (კარგი დამმუხტველი უნარის მქონე) ქსოვილის ნაჭერი	ცალი	1	15.00	15.00
21	38437000	ელექტროსკოპი ალუმინის ისრით	ცალი	1	130.00	130.00
22	38437000	ელექტროძრავის მოდელი	ცალი	1	55.00	55.00
23	38111100	კომაპასი	ცალი	6	12.00	72.00
24	38437000	მუდმივი მაგნიტი, ღერო	ცალი	1	35.00	35.00
25	38437000	კოჭა მოძრავი რკინის გულანათი	ცალი	1	40.00	40.00
26	38437000	წყვილი კამერტონი (2ц) რეზონატორით	ცალი	1	60.00	60.00
27	38425100	მანომეტრი + დგუშიანი ცილინდრი	ცალი	1	90.00	90.00
28	38437000	ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი	ცალი	1	85.00	85.00
29	38437000	დგუშიანი ცილინდრი აირის შეკუმშვისას ტემპერატურის ზრდის სადემონსტრაციოდ	ცალი	1	45.00	45.00
30	38437000	სამკუთხა პრიზმა	ცალი	1	20.00	20.00
31	38437000	ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით	ცალი	1	40.00	40.00
32	38437000	სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით	ცალი	1	55.00	55.00

33	38437000	ინტენსიური სინათლის წყარო სადემონსტრაციო ლინზების ნაკრებით	ცალი	1	40.00	40.00
34	38437000	დიფრაქციული მესერი	ცალი	1	35.00	35.00
35	38437000	პოლარიზატორები	ცალი	1	25.00	25.00
36	38636100	ლაზერი, სადგამით (მწვანე)	ცალი	1	100.00	100.00
37	33790000	საცობიანი მინის ბოთლი რეაქტივებისთვის (თეთრი) 500 მლ.	ცალი	2	15.00	30.00
38	33790000	საცობიანი მინის ბოთლები რეაქტივებისთვის (თეთრი) 100 მლ.	ცალი	3	10.00	30.00
39	33790000	საცობიანი მინის ბოთლი რეაქტივებისთვის (მუქი) 500 მლ.	ცალი	2	25.00	50.00
40	33790000	საცობიანი მინის ბოთლები რეაქტივებისთვის (მუქი) 250 მლ	ცალი	3	15.00	45.00
41	33790000	საცობიანი მინის ბოთლი რეაქტივებისთვის (მუქი) 125 მლ.	ცალი	3	10.00	30.00
42	33790000	საცობიანი მინის ბოთლი რეაქტივებისთვის (მუქი) 60 მლ.	ცალი	3	7.00	21.00
43	33790000	ბიუქსები მინის, მილესილყელიანი 60x30	ცალი	2	25.00	50.00
44	33790000	ბიუქსები მინის, მილესილყელიანი 50x30	ცალი	2	20.00	40.00

45	33790000	ბიუქსები მინის, მილესილყელიანი 35x25	ცალი	2	15.00	30.00
46	33790000	ბიუქსები მინის, მილესილყელიანი 20x20	ცალი	2	10.00	20.00
47	42910000	სახდელი აპარატი, კიპის 250 მლ.	ცალი	1	350.00	350.00
48	38634000	მიკროსკოპი ციფრული კამერით	ცალი	1	1200.00	1200.00
49	38631000	დურბინდი	ცალი	1	60.00	60.00
50	39162100	ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი	ცალი	1	2000.00	2000.00
51	39162100	თავის ტვინის ასაწყობი მოდელი	ცალი	1	400.00	400.00
52	39162100	გულის ასაწყობი მოდელი	ცალი	1	450.00	450.00
53	39162100	თვალის ასაწყობი მოდელი	ცალი	1	400.00	400.00
54	38425100	მანომეტრი -Manometer calibrated from 20-300mmHg with phonendoscope	ცალი	1	70.00	70.00
55	39162100	დნმ-ის ასაწყობი მოდელი	ცალი	1	800.00	800.00
56	38437000	ტიგელის მარწუხი/დამჭერი	ცალი	1	23.00	23.00
		ჯამი				**9364.00**

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი“
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

მიმწოდებელი:
შპს ,,მაი მობაილ +“
დირექტორი: ზურაბ ბოკერია

_____
(ხელმოწერა)